B19059407

გადახდის ნომერი: **EN1798618**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B19059407**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 27/05/2019 14:15:28
განცხადების ნომერი: 1798618
განცხადების მიღების დრო: 27/05/2019 14:14:17

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: გია ზვიადაძე/57001006271/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი
დასახელება: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
საიდენტიფიკაციო კოდი: **404439247**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დამფუძნებლის ბრძანება N37

მომსახურება: 1 დღის ვადაში 100 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

1798618
გადახდის ნომერი: **EN1798618**

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: გია ზვიადაძე
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **57001006271**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: თბილისი ნ.ჟვანიას ქ. **N 2ა ბ. 26**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

დასახელება: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
საიდენტიფიკაციო კოდი: **404439247**

შესაცვლელი რეკვიზიტი
- წესდების ცვლილება

თანდართული დოკუმენტაცია:
- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დამფუძნებლის ბრძანება N37

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

მომსახურება : 1 დღის ვადაში 100 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ გია ზვიადაძე /

განცხადების წარდგენის თარიღი: 27/05/2019 14:14:17

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური
მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და
სემინარიის (ს/კ№404439247) დამფუძნებლის

ბრძანება №37

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

19 აპრილი 2019 წელი

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ№404439247) 2013 წლის 11 მარტის წესდება და დამტკიცდეს წესდების ახალი რედაქცია.

წესდების საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაცია დაევალოს ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ№404439247) რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი (გია) ზვიადაძეს (პ/ნ№57001006271).

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

2(ორი)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190587161
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.05.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82450619795519

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის **ოცდაოთხ მაისს**, მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) **ირაკლი შიოლაშვილის** (დაბ. 04.12.1933წ. მისამართი: თბილისი სიონის ქ. N4; პირადი #01015004723) **ხელმოწერის ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად.

მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: თბილისი, ერეკლე II მოედანი, #1-ში.

სანოტარო საზღაური – 2,00 (ორი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, 1,00 (ერთი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ამავე დადგენილების მუხლი 34, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 5,54 (ხუთი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28/2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ 404439247)

წესდება
ახალი რედაქცია

პრეამბულა

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია დაარსდა 1988 წელს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის მცხეთის სასულიერო სემინარიის ბაზაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი - ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია დაფუძნდა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ს/კ# 204395537; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ერეკლე მეორის მოედანი #1), რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე აღიარებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქმიანობა:

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებისა და ამ შეთანხმების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების, საეკლესიო, კანონიკური სამართლისა და მართლმადიდებლური სწავლების საფუძველზე, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების, აგრეთვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებების, წმინდა სინოდის განჩინებების, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წესდებისა და მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო-სამეცნიერო, პედაგოგიური, საეკლესიო-საზოგადოებრივი საქმიანობა ეფუძნება წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის უცვალებელ სჯულსა და მოძღვრებას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ტრადიციებს და მოწოდებულია დაიცვას იგი.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრთან და ანგარიშვალდებულია სრულიად საქართველოს ჯათოლიკოს-პატრიარქის წინაშე.

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

წესდება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ს/კ 404439247) (შემდგომ – თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია) სტატუსს, მიზნებსა და ამოცანებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, ქონებისა და დაფინანსების წყაროებს, ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, წესდებაში ცვლილების შეტანის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის თსას-ის წესდებით, რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დამფუძნებელი, სტატუსი და რეკვიზიტები

1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შემოკლებული სახელწოდებაა ,,თსას";

2. თსას-ის დამფუძნებელია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (იგივე საქართველოს საპატრიარქო; იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი #1, ს/კ 204395537), რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (თანახმად საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 14.10.2002 წელს ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმებისა), რომელსაც წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (სამოქალაქო სახელი - ირაკლი შიოლაშვილი, დაბადებული 04.12.1933 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში: ერეკლე II-ის მოედანი #1, პირადი #01015004723);

3. თსას-ის სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

4. თსას-ი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით;

5.თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია ატარებს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელს, აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიში, ოფიციალური ვებგვერდი – www.tsas.ge და იყენებს საქართველოს საპატრიაქროს ლოგოს;

6. თსას-ში სწავლების ენა არის ქართული. საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ სხვა ენაზე განხორციელება შესაძლებელია ამისათვის საჭირო ადამიანური, პროგრამული და სხვა აუცილებელი რესურსის არსებობის შემთხვევაში;

7. თსას-ში სწავლა არის უფასო;

8. თსას-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სიონის ქუჩა #13/40 (ს/კN 01.18.03.047.002);

9. თსას-ი ელექტრონული მისამართია: "http://www.tsas@academia.edu.ge/"

მუხლი 3. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიზნები და ამოცანები

1. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, როგორც გამგრძელებელი და დამცველი საქართველოში არსებული უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლებისა და საგანმანათლებლო ცენტრების ტრადიციებისა, კანონიკური სამართლისა და სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელებისას მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი ამოცანების შესრულებას:

1.1. კადრების მომზადებას:

- სასულიერო პირად კურთხევისათვის;

- საღვთისმეტყველო პროფილით სამეცნიერო მუშაობისათვის;

- სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის;

- თეოლოგიის, ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის, საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის, ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის სფეროში საქმიანობისათვის.

1.2 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შექმნის ხელშეწყობას, ღვთისმეტყველების, ფილოლოგიის, ქრისტიანული ფილოსოფიის, ეკლესიის ისტორიის, ქრისტიანული ანთროპოლოგიის, საეკლესიო სამართლის, დოგმატიკის, საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის, რელიგიათმცოდნეობის, ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნებათ-მცოდნეობის დარგებში;

1.3. საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა საქმიანობას, რომელიც ემსახურება მართლმადიდებლური რწმენისა და ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას.

1.4. მართლმადიდებლური რწმენისა და ცოდნის ერთიანობაზე, განათლების უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის განხორციელება, რაც არ ეწინააღმდეგება საეკლესიო ეთიკის ნორმებსა და მიზანდასახულობას;

1.5. ზოგადქრისტიანულ და მართლმადიდებლურ წიაღში შექმნილი ქართული კულტურის შესწავლა;

1.6. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების, პიროვნული შესაძლებლობების გამო-ვლენისა და რეალიზების ხელშეწყობა.

2. თსას-ი შეიძლება ეწეოდეს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

თავი II. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტრუქტურა

მუხლი 4. სტრუქტურა

1. თსას-ი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების), სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან;

2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (ფაკულტეტები), სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, მათი შედგენილობა, მართვის ორგანოები, თანამდებობათა დაკომპლექტების წესი და კომპეტენცია დგინდება თსას-ის დებულებით.

თავი III. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მართვის პრინციპი

მუხლი 5. მართვის ორგანოები

1.თსას-ის უმაღლესი მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვეტილება (წერილობითი სახით) მიიღოს აკადემიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

2.თსას-ის მართვის ორგანოებია: რექტორი, სამეცნიერო საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 6. რექტორი

1.სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებით, თსას-ს ხელმძღვანელობს და მართავს მისი რექტორი, რომელიც ამავდროულად არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

2. რექტორს ბრძანებით ნიშნავს და დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;

3. რექტორი უნდა იყოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი მღვდელმსახური პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება, ღვთისმეტყველების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საეკლესიო მოღვაწეობის გამოცდილება.

4. რექტორის უფლება-მოვალეობანი:

ა) რექტორის წარდგინებით პრორექტორს/პრორექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;

ბ) ასრულებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მითითებებს თსას-ის მართვასა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით;

გ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებულ წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტს;

დ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით თანამშრომელს მიავლენს საზღვარგარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენცია, სიმპოზიუმი, სემინარი და სხვ.) მონაწილეობის მისაღებად;

ე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სტუდენტებს მიავლენს სასწავლებლად საზღვარგარეთ;

ვ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ამყარებს კავშირს უცხოეთში არსებულ საღვთისმეტყველო სასწავლებლებთან.

ზ) რექტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წერილობითი სახით აწვდის სრულ ინფორმაციას მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ;

თ) რექტორი წარმოადგენს თსას-ს მესამე პირებთან ურთიერთობისას და დებს გარიგებებს;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს სტრუქტურული ერთეულების შექმნის შესახებ და დებულებით განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის ფუნქციას, მათს შემადგენლობას, თანამდებობათა დაკომპლექტების წესსა და კომპეტენციებს;

კ) ამტკიცებს დებულებას/დებულებებს, შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, სასწავლო განრიგს, საგანმანათლებლო პროგრამებს, გამოსცემს სხვა სამართლებრივ აქტებს;

ლ) იწვევს სამეცნიერო საბჭოს სხდომას და ხელმძღვანელობს მას. ამტკიცებს სამეცნიერო საბჭოს სხდომის დღის წესრიგს;

მ) განსაზღვრავს საშტატო განრიგსა და სახელფასო განაკვეთებს;

ნ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თსას-ის თანამშრომლებსა და მომსახურე პერსონალს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს და იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

ო) გასცემს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად;

პ) განიხილავს საჩივრებს (წინადადებებს) და იღებს გადაწყვეტილებებს თსას-ის სტუდენტთა და თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დადების შესახებ;

ჟ) მართავს და განკარგავს თსას-ის მფლობელობაში არსებულ ქონებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით;

რ) გასცემს ნებართვას თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიერ საღვთისმეტყველო, სამეცნიერო, ლიტერატურული ნაშრომების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის თაობაზე;

ს) თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის ან/და მისი არყოფნის შემთხვევაში საკუთარ უფლებამოსილებებს დროებით გადასცემს პრორექტორს სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში, ან - რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ თსას-ის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებს;

ტ) რექტორი უფლებამოსილია, ბრძანების საფუძველზე განახორციელოს ცალკეული უფლებამოსილების დელეგირება;

უ) საჭიროების შემთხვევაში გასცემს მინდობილობებს.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭო

1. თსას-ში მოქმედი სამეცნიერო საბჭო არის აკადემიური (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიური ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. თსას-ის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 8. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სადისერტაციო საბჭო

1. თსას-ის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

2. სადისერტაციო საბჭო იქმნება ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორთაგან დისერტაციის საჯარო განხილვისათვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

4. სადისერტაციო საბჭოს დებულებას სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

მუხლი 9. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.თსას-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ნიშნავს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს:

- სწავლების პროცესის ხარისხის მაღალ დონეზე წარმართვას;

- სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- უცხოეთის მართლმადიდებლურ სასულიერო სასწავლებლებთან თანამშრომლობას მათი გამოცდილების გათვალისწინების მიზნით.

თავი IV. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პერსონალი

მუხლი 10. პერსონალი

1.თსას-ში არსებობს შემდეგი თანამდებობები: აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე.

2.აკადემიურ თანამდებობათა დაკავება ხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი წესით.

3. თსას-ში ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის მიღება და გათავისუფლება ხდება რექტორის ბრძანებით. აღნიშნული პერსონალის საქმიანობა რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებითა და თსას-ის სამართლებრივი აქტებით.

თავი V. სტუდენტი

მუხლი 11. სტუდენტთა უფლება-მოვალეობები

თსას-ში სტუდენტთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამართლებრივი აქტებით.

თავი VI. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქონება და დაფინანსება

მუხლი 12. ქონების შეძენისა და განკარგვის წესი

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად თსას-ს ქონებას გადასცემს საქართველოს საპატრიარქო.

2. თსას-ის ქონება და სახსრები მთლიანად ხმარდება თსას-ის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. ქონებისა და სახსრების გამოყენება სხვა დანიშნულებით აკრძალულია.

მუხლი 13. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დაფინანსება

თსას-ის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემული სახსრები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული, მათ შორის - ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 14. ეკონომიკური საქმიანობა

სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას თსას-ისთვის შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათი და ამგვარი საქმიანობით მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს თსას-ის მიზნების განხორციელებას.

თავი VII. ცვლილებები წესდებაში, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 15. წესდებაში ცვლილების შეტანა

1. წესდებაში ცვლილებებს ახორციელებს დამფუძნებელი, რომელსაც წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

2. წესდებაში ცვლილებების ინიცირების უფლებამოსილ პირს, დამფუძნებელთან ერთად, წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

მუხლი 16. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1.თსას-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის მიერ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით.

2. ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიასა და მის თავმჯდომარეს, რომლებიც წარმართავენ ლიკვიდაციის პროცესს.

3. სალიკვიდაციო კომისიას გადაეცემა თსას-ის მმართველობის ყველა უფლებამოსილება. კომისია ავლენს კრედიტორებს, ფინანსურ ანგარიშს უსწორებს თანამშრომლებს და ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს.

4. თსას-ის ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონება უბრუნდება საქართველოს საპატრიარქოს.



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190587084
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.05.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	56024031084619

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის **ოცდაოთხ მაისს**, მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) **ირაკლი შიოლაშვილის** (დაბ. 04.12.1933წ. მისამართი: თბილისი სიონის ქ. N4; პირადი #01015004723) **ხელმოწერის ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად. ხელმოწერა შესრულეწბულია მხოლოდ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: თბილისი, ერეკლე II მოედანი, #1-ში.

სანოტარო საზღაური – 2,00 (ორი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, 1,00 (ერთი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ამავე დადგენილების მუხლი 34, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 5,54 (ხუთი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28/2

პირადი ნომერი	57001006271
სახელი	გია
მამის სახელი	იოსები
გვარი	ზვიადაძე
დაბადების თარიღი	1963-06-22T00:00:00
დაბადების ადგილი	საქართველო, წყალტუბო, გუმბრა
მისამართი	თბილისი ნ.ჟვანიას ქ. **N 2**ა ბ. **26**
პირადობის მოწმობის სერია	18IB80414
მოწმობის გამცემი ორგანო	იუსტიციის სამინისტრო
გაცემის თარიღი	2018-11-02T00:00:00
მოქმედების ვადა	2028-11-02T00:00:00
მოქალაქეობა	საქართველო
ორმაგი მოქალაქეობა	()
რეგ. თარიღი	2018-11-02T16:51:59.07
სტატუსი	აქტიური
ფოტოები	

ბეჭდვა